განკარგულება:**გ-81. 81252672**
თარიღი:**24/09/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №49

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფ. დოღურაშში მდებარე (ს/კ 89.02.33.021) №1 შენობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (ს/ნ 204852089) 2025 წლის 27 აგვისტოს №005619725 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს - სოფ. დოღურაშში მდებარე (ს/კ 89.02.33.021) 1 შენობის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით -იჯარით გადაცემაზე.

2. ერთი თვის საწყის საიჯარო ქირად განისაზღვროს 1200 (ათასორასი) ლარი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (ს/ნ 204852089) 2025 წლის 27 აგვისტოს № 005619725 დასკვნის საფუძველზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რეზო ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი